წერილის ნომერი:პ/23302275
თარიღი: 09/09/2024

ადრესატი:

გიორგი გაზდელიანი
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 9

დ. ლენტეხი. 22.08 2024 წ.

მიმდინარე წლის 22 აგვისტოს დღის 12 საათზე ჩატარდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ;

ლენტეხის საკრებულოს საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა, წევრები- დავით პირველი, მეკლუდ ლიპარტელიანი, ირაკლი ლიპარტელიანი, სპეციალისტი ცოტნე ქურასბედიანი და მერიის საფინანსო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარების განყოფილების უფროსი გ. გაზდელიანი.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ სხდომის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი;

1. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N-29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

მომხ. გ. გაზდელიანი

მოისმინეს: მერიის საფინანსო-სამსახურის უფროსმა გ. გაზდელიანმა კომისიის წევრებს გააცნო ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილება მუხლების მიხედვით.

1 .მთავრობის განკარგულება N-1025-ით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს დაემატა 127,6 ათ. ლარი. 2. განკარგულება N-1204- რეგიონში განსახორციელებელი პროექტებისათვის დაემატა 883,39 ათ ლარი.

3. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება მოვლა შენახვის მუხლიდან 100.0 ათასი ლარი გადატანილი იქნას მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის მუხლში.

4. ა(ა)ი.პი. თემებთან ურთიერთობის საკონსულტაციო ცენტრის სუბსიდირების მუხლიდან 1.65 ათ. ლარი გადატანილი იქნას ა(ა)ი პი. საბიბლიოთეკო გაერთიანების სუბსიდირების მუხლში.

5. ა(ა)ი.პი .გარემოს დაცვის სუბსიდირების მუხლიდან 1.2 ათ. ლარი გადატანილი იქნას ლ. მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სუბსიდირების მუხლში.

6. მერიის სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის მუხლიდან 32.78 ათ ლარი გადატანილი იქნას მერიის არა ფინანსურ აქტივების მუხლში.

კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ მომხსენებელს მიმართა კითხვით; მერიის სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლიდან 32.8 ათასი ლარის მერიის არა ფინანსურ აქტივების მუხლში ცვლილება რა ფაქტორით არის გამოწვეული. პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა რომ იაპონიის საელჩოს მიერ ლენტეხის მუნიციპალიტეტის სახელზე შეძენილი ტრაქტორის ღირებულების გადახდაზე უნდა მიიღოს წილობრივი თანამონაწილეობა დ.ღ.გ. გადახდის სახით. რამაც გამოიწვია მერიის ბიუჯეტის მუხლებში ცვლილება.

კომისიის წევრებს სხვა შეკითხვები არ დაუსვიათ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024

წლის ბიუჯეტის ცვლილებები წარმოდგენილი სახით გატანილი იქნას საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე.

ლამზირა გუგავა

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე